სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

02 ოქტომბერი, 2025 წ.

ბრძანება № 01-02/184

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის
არჩევნების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის, ,,ბსუ-ს საარჩევნო დებულების დამტკიცების შესახებ'' აკადემიური საბჭოს 2024 წლის 31 იანვრის 06-01/10 გადაწყვეტილების მე-2 და მე-6 მუხლების, ,,წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის ნოემბერში ჩატარებული არჩევნების შედეგად არჩეული წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების ცნობის, საბჭოს სპიკერისა და მდივნის არჩევის თაობაზე'' ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს **2022 წლის 09 ნოემბრის N07-01/50 გადაწყვეტილების,** ,,ბსუ-ს ასისტენტ-პროფესორ გიორგი ქათამაძისათვის ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს **2025 წლის 21 აგვისტოს N07-01/26 გადაწყვეტილების,** ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს უფროსის 2025 წლის 18 სექტემბრის N1172491 და ბსუ-ს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2025 წლის 29 სექტემბრის N1244412 სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის არჩევნები, ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიდან 1 წევრის - აკადემიური თანამდებობის პირის - არჩევის მიზნით (ვადაზე ადრე უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრის, ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორ <u>გიორგი ქათამაძის უფლებამოსილების დარჩენილი ვადით</u> (2022 წლის 01-02 ნოემბერში არჩეული წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების ვადით **2026 წლის 14 ნოემბრამდე).**
2. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის **არჩევნები ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ჩატარდეს 2025 წლის 16 ოქტომბერს** N426 აუდიტორიაში (არჩევნები -კენჭისყრა იწყება 12:00 საათზე და მთავრდება 15:00 საათზე).
3. არჩევნებში მონაწილეობის მიღების მსურველმა ბსუ-ს **საარჩევნო კომისიაში** (მისამართი ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ №32/35, ოთახი N14) 2025 წლის **06 ოქტომბრიდან** – 2025 წლის **13 ოქტომბრის** ჩათვლით, უქმე დღეების გარდა, 10:00 საათიდან 16:00 საათამდე **უნდა წარადგინონ:**

   ა) განცხადება;

   ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

   გ) ცნობა **ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური თანამდებობის პირის** სტატუსის შესახებ (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან ასისტენტ-პროფესორი).

4. ბსუ-ს ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანს დაევალოს ფაკულტეტის ამომრჩეველთა **სიის** წარმოდგენა ბსუ-ს საარჩევნო კომისიისათვის - არაუგვიანეს 2025 წლის 13 ოქტომბრისა (**შენიშვნა:** ამომრჩეველთა სიაში შეიტანება შემდეგი ინფორმაცია: ამომრჩეველის სახელი და გვარი; პირადობის მოწმობის პირადი ნომერი და დაკავებული აკადემიური თანამდებობა. აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებს წარმომადგენლობით საბჭოში ირჩევს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, **გარდა ასისტენტისა).**
5. ბსუ-ს საარჩევნო კომისიას ეთხოვოს არჩევნების ორგანიზება-ჩატარებისათვის ბსუ-ს წესდებითა და ბსუ-ს საარჩევნო დებულებით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.
6. ბრძანება განთავსდეს შესაბამისი ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე და ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე (კონკურსის ველში, ასევე შესაბამისი ფაკულტეტის სიახლეების ველში).
7. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის აპარატს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტს, ბსუ-ს საარჩევნო კომისიას, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) და იურიდიულ დეპარტამენტს.
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

ბსუ-ს რექტორი ტიტე არაშიძე